პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 111 (2474) ◉ კვირა, 7 ივნისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

**დღეს თბილისში იხსნება მოსწავლეთა XVI რესპუბლიკური სპარტაკიადა**

**ფიზკულტურული სალამი ჩვენს ნორჩ სპორტსმენებს!**

## ჩვენი საზრუნავი

**სსრ კავშირის** სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელმაც შეაჯამა განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა და დასახა კონკრეტული გზები ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის, დიდი მოვლენა იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ კონფერენციის დელეგატთა შთაბეჭდილებებს ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურთა ამ დიდი ფორუმის გარშემო.

## კომკავშირი — ავანგარდში

**რ. მეტრეველი,**
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ამხანაგ ლ. თ. ილიჩოვის სიტყვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სპორტის მასობრიობის საკითხს. ბუნებრივია, რომ მოწინავე როლს ამ საქმეში კომკავშირი ასრულებს, რადგან სავსებით ცხადია — მოქმედ სპორტსმენთა უმრავლესობას სწორედ კომკავშირლები შეადგენენ.

თუ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში კომკავშირი მასპინძლის როლში გამოდიოდა, მას შემდეგ ნათელი გახდა, რომ კომკავშირი არა მარტო პერიოდულად უნდა ხელმძღვანელობდეს ასეთ ღონისძიებებს, არამედ დღენიადაგ ზრუნავდეს ფიზიკური კულტურის კიდევ უფრო ღრმად დანერგვისთვის საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სწორედ სპორტსმენის მორალურ იერში უნდა გამოჩნდეს კომკავშირის ხელმძღვანელი როლი, რადგან ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში კომკავშირის როლი განუზომელია.

სპორტსმენის მორალური სახე უებლოდ წმინდა, მაღალი უნდა იყოს, რადგან მოზარდი თაობის თვალში იგი ქცევისა და მიბაძვის ერთგვარ ეტალონად მოჩანს.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი მუდამ უნდა ახსოვდეთ სპორტსმენებს.

## სპორტის მასობრიობისთვის

**გ. რცხილაძე,**
თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

კონფერენციაზე ბევრჯერ ახსენეს ჩვენი დედაქალაქი, როგორც ერთ-ერთი მოწინავე სპორტის მასობრიობის საქმეში. კერძოდ, მოსკოვის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ამხ. კ. კრუპინმა თავის სიტყვაში თქვა, რომ დედაქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ უნდა გადაიღონ თბილისელთა გამოცდილებიდან.

მართლაც, თბილისში ცოტა როდი გაკეთდა სპორტის მასობრივად დანერგვისთვის. დიღმის მასივში ჩამოყალიბდა ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბი „დილა“, რაც სრულიად ახალი სახეობაა მოსახლეობის ფართო მასების ფიზკულტურაში ჩაბმისა. აქ მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის 20 მოედანი, ფეხბურთის 3 მინდორი, სისტემატურად წარმოებს გამაჯანსაღებელი საქმიანობა, იმართება მასობრივი შეჯიბრებები.

საბურთალოზეც ფართოდ გაიშალა სპორტული ბაზების მოწყობის საქმე. უკვე მწყობრში ჩადგა ფრენბურთისა და კალათბურთის 12 მოედანი, ფეხბურთის 3 მინდორი.

ეს საქმიანობა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ ყველა რაიონში. ასეთია ჩვენი სპორტკავშირის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა.

## სპორტული სკოლები — სოფლად

**ვ. ჟღენტი,**
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მეორე კონფერენციამ ყურადღება გაამახვილა სოფლად ფიზკულტურული მოძრაობის სპეციფიკური ფორმების განვითარების საკითხზე. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. მაგრამ უკეთესი მიღწევები გვექნებოდა, გეგმაზომიერად რომ ვატარებდეთ შეჯიბრებებს: მიზანშეუწონელია ზონალური სპარტაკიადების ჩატარება სოფლის სპორტსმენთა შორის, რადგან ეს იწვევს მშრომელი მასის მოწყვეტას თავისი ძირითადი საქმიანობიდან.

ძალიან სასარგებლო იქნებოდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადების გამართვა, ამასთან, სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, ჭიდაობა, ველოსპორტი, ცხენოსნობა, ძალოსნობა.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში სოფლის სპორტსმენთა ასპარეზობანი უნდა ტარდებოდეს არა მოსავლის აღების ცხელ დღეებში, არამედ მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ნაკლებად ინტენსიურია.

კარგი იქნება, თუ სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადებს დავუკავშირებთ ჩაის კრეფის სეზონისა (დასავლეთ საქართველოში) და ყურძნის მოსავლის აღების დამთავრებას (აღმოსავლეთ საქართველოში). ეს უფრო მასობრივს გახდიდა შეჯიბრებებს.

სოფლად უნდა ჩამოვაყალიბოთ სპორტული სკოლები.



საქართველოს დედაქალაქის სპორტის სასახლეს არსებობის მხოლოდ რამდენიმე წლის ისტორია აქვს. მაგრამ ამ მცირე ხნის მანძილზეც მის კედლებს შუა გაიმართა მრავალი მძაფრი, ამაღელვებელი ასპარეზობა, „დაიბადა“ რესპუბლიკისა და სსრ კავშირის არა ერთი ჩემპიონი, საერთაშორისო შეხვედრებსა და ტურნირებში გამარჯვებულის ტიტულის მფლობელი.

ეს ნაგებობა გულშემატკივართა უსაყვარლეს ადგილად და სპორტული თბილისის სიმბოლოდ იქცა. სწორედ ამიტომ მიიპყრო სასახლის დამახასიათებელმა სალამოსეულმა ხედმა ჩვენი ფოტოკორესპონდენტის ვ. გენგიურის ყურადღება.

მეორე ფოტოც ამავე ავტორს ეკუთვნის. შავი ზღვისპირეთის ლამაზი ცის ფონზე წარმოდგენილია რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ველოსიპედისტი ვ. კეხბა წვრთნის დამთავრების შემდეგ.

## უკანასკნელი საათი...

◆ **დონის როსტოვი,** 6 ივნისი. ადგილობრივი გუნდების — „როსსელმაშისა“ და სკა-ს გუშინდელმა მატჩმა საბჭოთა კავშირის თასზე ფეხბურთში უნაყოფოდ ჩაიარა. დამატებითი დროის მიუხედავად, ბურთი ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიტანა და თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0. ამიტომ დღეს გაიმართა როსტოველი ფეხბურთელების განმეორებითი მატჩი. ამჯერად არმიელებმა აჯობეს თავიანთ „უმცროს“ კოლეგებს — გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

◆ **მოსკოვი,** 6 ივნისი. (ტელეფონით). დღეს აქ ჰოლანდიის ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდმა თავისი ბოლო მატჩი წააგო ჩვენი ქვეყნის კლუბების ნაკრებ გუნდთან — 1:2. ბურთები გაიტანეს პონედელნიკმა და ივანოვმა, ხოლო სტუმართა მხრიდან — კემპერმა. მანამდე ჰოლანდიელებმა დაამარცხეს საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები (2:1) და ლენინგრადის „ზენიტი“ (3:0).

◆ **ა ლ მ ა-ა ტ ა,** 6 ივნისი. თავისი მესამე ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებთან დღეს გამართა ურუგვაის ოცდახუთგზის ჩემპიონმა — „ნასიონალმა“. მან მოუგო ადგილობრივ „კაირატს“ — 1:0.

ბურთი თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გაიტანა ბერგარმა.

## საჭიდაო ხალიჩაზე

**ორჯონიკიძე.** საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალური ასპარეზობა თავისუფალ ჭიდაობაში წელს ორ ქალაქში ტარდება. აქ საჭიდაო ხალიჩაზე გამოვიდნენ უმჩატესი, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონითი კატეგორიების მოჭიდავენი, ხოლო 12 ივნისს ბაქოში დაიწყება შეჯიბრება მჩატე, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონებში.

ასპარეზობის პირველ დღეს სსრ კავშირის ჩემპიონმა მსუბუქ წონაში ზ. ბერიაშვილმა (თბილისი) ჯერ ბაქოელი ფ. ჰასანოვი დასცა ბეჭებზე, ხოლო შემდეგ 8 წუთსა და 30 წამში კვლავ წმინდად მოუგო ტ. ვენგლინსკის.

ჯ. დავლიანიძემ (საშუალო წონა) ქულებით წააგო შეხვედრა სსრ კავშირის ჩემპიონთან, ლენინგრადელ ა. ალბულთან.

ასპარეზობის მეორე დღე — 6 ივნისი — სენსაციით აღინიშნა: ალიევმა დამარცხება განიცადა და ჯერ კიდევ ფინალამდე გამოეთიშა პირველობას. ამ წონით კატეგორიაში (უმჩატესში) ავადმყოფობის გამო საჭიდაოდ არ გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ზ. შეყრილაძე. ამის მიუხედავად, იგი შეყვანილია ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში მეორე ნომრად.

ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს ზ. ბერიაშვილი. მეორე დღეს მან კიდევ ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვა და საჭარიმო ქულის გარეშე ლიდერობს თავის წონაში.

ლიდერია შ. ლომიძეც. მას ერთხმად აკუთვნებენ I ადგილზე გასვლის კარგ შანსებს.

მძიმე წონაში ხითარიშვილმა უკვე გაინაღდა IV ადგილი. გამარჯვებულის გამოსავლინებელ გადამწყვეტ მატჩში დღეს ერთმანეთს შეხვდებიან ამ წონის ფავორიტები — ა. მედვედი და ა. ივანიცკი.

## ფოტოობიექტივით ჩვენს რესპუბლიკაში



▲ **ბრიუსელში** ბელგიის ახალი რეკორდი დაამყარა სიმონსმა, რომელმაც 50-მეტრიან აუზში 100 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 56,0 წამში.

▲ **მილანის** 50-მეტრიან საცურაო აუზში ჩატარებული შეჯიბრება იტალიის ახალი რეკორდებით აღინიშნა: ორლანდომ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 2.03,5, გროსიმ — 100 მეტრზე ბრასით — 1.08,1, ჯოვანინიმ — 200 მეტრზე ბრასით — 2.35,0, რასტრელიმ — 200 მეტრზე ბატერფლაით — 2.16,4.

▲ **ი ნ ს ბ რ უ კ შ ი** ჩატარდა ავსტრიელ მძლეოსანთა ასპარეზობა. ბრწყინვალე შედეგს მიაღწია უროს ტყორცნაში ჰაინრიჰ ტუნმა — 68,14 მ.

▲ **ს ე ნ-მ ა რ შ ი,** საფრანგეთის ამ პატარა ქალაქში, დაიბადა ახალი ეროვნული რეკორდი 1.000 მეტრზე რბენაში — 2.18,5. მისი ავტორია ახალგაზრდა მორბენალი ჟან ვადუ.

▲ **ნ ო რ ვ ე გ ი ი ს** ჩემპიონი ჩოგბურთში გახდა უძლიერესი შვედი სპორტსმენი იან-ერიკ ლუნდკვისტი. ფინალში მან დამაჯერებლად დაამარცხა ნორვეგიელთა მეორე სტუმარი — ძლიერი ეკვადორელი ჩოგბურთელი ედუარდო ზულეტა — 6:2, 6:4, 6:2. ქალთა ტურნირში ყველას აჯობა მასპინძელმა ლივ პალდანმა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში მოუგო შვედ გუდრუნ როზინს — 6:3, 6:1.

▲ **ჟენევაში** მიმდინარეობს კალათბურთელთა წინასაოლიმპიადო ტურნირი. ტოკიოს საგზურებს ერთმანეთს ეცილებიან ევროპის 14 სახელმწიფოს ნაკრები გუნდები, რომლებიც ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილნი (ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი წავლენ იაპონიაში). „ა“ ქვეჯგუფში ფინელებმა დაამარცხეს უნგრელები (80:58), ისრაელის კალათბურთელებმა — გდრ-ის სპორტსმენები (65:56), ბერძნებმა — შვეიცარიელები (89:82). „ბ“ ქვეჯგუფში შეხვედრები ასე დამთავრდა: ესპანეთი — ჰოლანდია 85:80, ბულგარეთი — დიდი ბრიტანეთი 82:62.

▲ **კანადის** ქალაქ საскატუნში ჩატარდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შერჩევითი ასპარეზობა ოლიმპიური გუნდის დასაკომპლექტ ე ბ ლ ა დ. ტოკიოში გამგზავრების საგზურები მოიპოვეს ხირაბაიასიმ (56 კგ), იუტილამ (61 კგ), დონერმა (69 კგ) და ობერლენდერმა (77 კგ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტარტზეა მომავალი!

## საუბარი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის მეთოდკაბინეტის გამგესთან ამხ. გ. მერკვილაძესთან

●

Დღეს, 7 ივნისს საქართველოს დედაქალაქში, აგრეთვე ქუთაისსა და სოხუმში დაიწყება მოსწავლეთა XVI ტრადიციული რესპუბლიკური სპარტაკიადა.

სტარტზე დადგება ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალი!

სპორტულ მოედნებზე, საცურაო აუზებსა თუ მძლეოსნურ ბილიკებზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარსდგებიან საქართველოს თითქმის ყველა რაიონისა და ქალაქის ნორჩი სპორტსმენები და წარმოგვიდგენენ, რა გააკეთეს მათ ამ დიდი სპორტული ღონისძიებისთვის მზადების დღეებში. ასპარეზზე გამოსული მოსწავლეები გამოავლენენ სკოლების ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივი და სპორტული მუშაობის დონეს, გვიჩვენებენ თუ რარიგ ღრმად შოიკიდა ფეხი მომავალ თაობაში ფიზკულტურამ და სპორტმა.

მოსწავლეთა XVI სპარტაკიადა ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ იგი თავისებურ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს მოსწავლეთა საკავშირო ზონალური სპარტაკიადისთვის.

საკავშირო ზონალური სპარტაკიადა 15 ივლისს დაიწყება ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, სადაც საქართველოს წარგზავნილები პაექრობას გამართავენ 5 რესპუბლიკის — ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, მოლდავეთის, აგრეთვე ლენინგრადის მოსწავლეთა ნაკრებ კოლექტივებთან.

წინა ორ სპარტაკიადაზე (მინსკსა და ვილნიუსში) ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეებმა მოიპოვეს პირველობის გარდამავალი თასი. წელს კი... ცოდვა გამხელილი სჯობია და უნდა ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კოლექტივი წინა წლებთან შედარებით გაცილებით ძლიერია, ტალინის სპარტაკიადის პირობები ისეა შეცვლილი, რომ საქართველოს ნაკრებ კოლექტივს საპრიზო ადგილისთვის მეტად მძიმე ბრძოლა მოუხდება. მონაწილე გუნდების შემცირება (8 რესპუბლიკის ნაცვლად — 6) „ააახლოვებს“ ლიდერსა და აუტსაიდერებს შორის ქულათა სხვაობას. საერთო ქულების დაჯამებისას კი, ასეთ დროს, ნაკლებადაა „ძლიერი სახეობების“ ხარჯზე ზოგიერთი ჩამორჩენილის „გადაფარვის“ საშუალება. ამავე დროს, სპარტაკიადის პროგრამა გაზრდილია ჩვენი მოსწავლეებისთვის ორი, სრულიად ახალი სახეობით (ხელბურთი, შაში). აქედან გამომდინარე, ჩვენი ვალია კიდევ უფრო ღრმა, დაბეჯითებული სერიოზულობით მოვეკიდოთ რესპუბლიკური სპარტაკიადის მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებას, რათა მომავალ ასპარეზობაზე წარვსდგეთ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მივუდგეთ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას.

დღეს, როცა ძირითადად მოთავდა რესპუბლიკის სკოლების ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა, ჩატარდა რაიონების, საქალაქო და სხვა მასშტაბის სპარტაკიადები, მომავალი ზონალური სპარტაკიადისადმი მზადების მთელი სიმძიმე რესპუბლიკურ სპარტაკიადას დაეკისრა. ამ ღონისძიებას განვიხილავთ, როგორც ტალინის შეჯიბრებისთვის მზადების დამაგვირგვინებელ პროცესს.

საქართველოს XVI სპარტაკიადის პროგრამაში გათვალისწინებულია სპორტის ყველა ის სახეობა, რომლებშიც მოგვიწევს ბრძოლა მოძმე რესპუბლიკებისა და ლენინგრადის წარმომადგენლებთან. გასული წლის სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა სპორტის 14 სახეობა — მძლეოსნობა, ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, ველოსპორტი, სროლა, ჩოგბურთი, წყალბურთი, ჭადრაკი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ნიჩბოსნობა. წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ დაემატა ხელბურთი და შაში.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივთა უფრო დიდი რაოდენობა, ვინემ გასულ წელს. კოლექტივები დაყოფილია ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოხვდნენ: აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისისა და ქუთაისის გუნდები. ხოლო მეორეში — რესპუბლიკის დანარჩენი რაიონებისა და ქალაქების კოლექტივები. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ I ჯგუფში სავალდებულოა პროგრამის ყველა სახეობაში გამოსვლა, ხოლო II ჯგუფში მონაწილეებს ამ სახეობებიდან მხოლოდ 8 საუკეთესო გუნდის შედეგის მიხედვით მიენიჭებათ ადგილი.

ამასთან დაკავშირებით, სპორტის სახეობათა შერჩევის უფლება მათვე მივანდეთ, გარდა ორი, ყველასთვის სავალდებულო სახეობისა (ტანვარჯიში, მძლეოსნობა).

მოსწავლეთა რესპუბლიკური ასპარეზობა ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების წარმატებით ჩატარებისთვის დამტკიცებულია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ამხ. თ. ლაშქარაშვილი.

## სპარტაკიადის კალენდარი

### თბილისში

**ხელბურთი.** 7-10 ივნისი. „განთიადის“ სპორტული მოედნები.

**ჩოგბურთი.** 7-14. „განთიადისა“ და ქალაქის სპორტსაზოგადოებათა კორტები.

**წყალბურთი.** 7-10. ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი.

**ჭადრაკი.** 7-15. საჭადრაკო და „დინამოს“ კლუბები.

**შაში.** 7-15. პიონერთა და მოსწავლეთა საზაფხულო ბაღი.

**მძლეოსნობა.** 12-15. „დინამოს“ სტადიონი.

**ტანვარჯიში.** 12-15. ტანვარჯიშის დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7).

**კალათბურთი.** 11-14. კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონი.

**ფრენბურთი.** 12-15. „განთიადის“ მოედნები.

**ცურვა.** 12-15. ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი.

**წყალში ხტომა.** 13-15. ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი.

**ველოსპორტი.** 12,13,15. სტარტი — ნატახტრის გზატკეცილის 31-ე კილომეტრზე.

**სროლა.** 12-15. ავჭალის სასროლეთი.

შეჯიბრებების დასაწყისი 11 საათზე.

### ქუთაისში

**ფეხბურთი.** 7-11.

### სოხუმში

მაგიდის ჩოგბურთი. — 7-14.

### რუსთავში

ნიჩბოსნობა. 11-13.

# დანაშაული და სასჯელი

### ტყიბულის სტადიონზე წესრიგს ვერ იცავენ

Უსიამოვნო, ძალზე უსიამოვნო ამბები მოხდა ამ ბოლო ხანებში ქალაქ ტყიბულის საფეხბურთო სტადიონზე. იშვიათად, რომ სადმე ჩაიდინონ ასეთი თავგასული, ყოვლად დაუშვებელი, აღმაშფოთებელი საქციელი: ქართველ მეშახტეთა ქალაქში დღისით, მზისით, ხულიგნებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ფეხბურთის მატჩის მსაჯს. უფრო სწორად — მსაჯებს, ვინაიდან რეციდივი გამეორდა.

საერთოდ, ეს სიტყვა — ფიზიკური შეურაცხყოფა, არა მარტო მეტისმეტად რბილია იმ უტიფარი, კადნიერი საქციელისთვის, რომელიც ტყიბულში მოხდა. იგი მკითხველს ვერც მისცემს ნათელ წარმოდგენას მომხდარ სკანდალზე. მსაჯებს უბრალო ფიზიკური შეურაცხყოფა კი არ მიაყენეს, არამედ სცემეს, პირსახე დაუსისხლიანეს და გვერდები ჩაუზილეს. ეს იყო არა ხელის მომენტალური შეხება, არამედ გვემის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი. სცემეს მსაჯებს, საზოგადოებრივ მუშაკებს, რომლებიც პატიოსნად, კვალიფიციურად ემსახურებოდნენ ფეხბურთს და მსგავსი უხამსობა შეეძლო ჩაედინა მხოლოდ საკუთარი გუნდის წარმატების სურვილით დაბრმავებულ, თავგზააბნეულ მაყურებელს, ხულიგანს.

აი, რა საოცრება მოხდა ტყიბულის სტადიონზე:

ა. წ. 17 მაისს აქ მიმდინარეობდა მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ადგილობრივ „მეშახტესა“ და ზუგდიდის „ენგურჰესს“ შორის. ჩვენ არ დავკარგავთ დროსა და ადგილს იმის აღწერაზე, რომ ტრიბუნებზე არ იყო წესრიგი და მაყურებელთა ერთი ნაწილი თავაშვებულად იქცეოდა. ამ „ჩვეულ“ ამბავს რატომღაც კარგა ხანია შეურიგდნენ აქაური სტადიონის დირექცია, მილიცია და რაზმელებიც კი. მატჩის დამთავრების შემდეგ, როცა მსაჯი გასახდელისკენ მიემართებოდა, ტრიბუნებიდან გადმოხტა რომელიღაც მაყურებელი და ერთი ლაზათიანი სილა სთხლიშა მას.

აღნიშნულ მაყურებელზე „ვილაცას“ ვამბობთ იმიტომ, რომ მისი ვინაობა ჩვენთვის დღემდე უცნობია. უცნობია მხოლოდ ჩვენთვის, ვინაიდან სტადიონზე ახლომახლო მყოფმა მაყურებლებმა ხელი შეუწყეს მისი ინკოგნიტოს შენარჩუნებას, ხოლო ადმინისტრაციამ აღარ მისდია მას, ვინც ასე მოულოდნელად შთაინთქა ტრიბუნების მასაში.

ამ ამბავმა ტყიბულში უხმაუროდ ჩაიარა. კრინტი არავის დაუძრავს და, რა თქმა უნდა, მისი ლოგიკური გაგრძელება მოსალოდნელიც იყო. ეს იყო თავისებური „ყვავილი“, რომელსაც შემდეგ „ნაყოფიც“ მოჰყვა.

რეციდივი მოხდა 31 მაისს. ტყიბულის „მეშახტე“ საკუთარ მინდორზე ხვდებოდა ქუთაისის „დინამოს“. ეტყობა, ტყიბულელებს მატჩის მოგება უნდოდათ და ისიც, ალბათ, მხოლოდ ანგარიშით 10:0, ამიტომ ისინი აშკარად უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ანგარიში იყო სულ რაღაც 1:1. ამით გაგულისებული „მეშახტის“ ფეხბურთელები მისცვივდნენ მსაჯს, გალანძღეს იგი, ხოლო გუნდის ერთ-ერთმა მოთამაშემ რ. ნაზაროვმა მას ხელიდან სასტვენი გამოგლიჯა.

ეს იყო სიგნალი და, უნდა ითქვას, ამ მეორე შემთხვევაში მაყურებლები გაცილებით უფრო უკეთ იქცეოდნენ, ვიდრე ისინი, ვინც მინდორზე იმყოფებოდა და ვინც საერთოდ პასუხისმგებელია ქ. ტყიბულის ფეხბურთის ავ-კარგიანობაზე.

მსაჯს გასახდელში შეუცვივდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი სარდლის იერით მიუძღოდა თვით ქალაქის ფეხბურთის სექციის თავმჯდომარე კვინიხიძე.

როცა ფეხბურთში შემტევი ახლოსაა მიზანთან, იგი მოქმედებს მყისვეულად, დაუყოვნებლივ და გადაჭრით. ასეთი კატეგორიული იყო ამ მომენტში ფეხბურთის სექციის თავმჯდომარეც. კვინიხიძე მიეჭრა მსაჯს და, როგორც გამოცდილმა ქუჩის მოჩხუბარმა, რამდენიმეჯერ ძლიერად გაარტყა მას ხელი.

რა შეიძლება ითქვას ამის შემდეგ? სად იყო ან სტადიონის ადმინისტრაცია, ან მილიცია, ან რაზმელები, სად იყვნენ ადამიანები?!

ვფიქრობთ, ზედმეტია ამ ამაზრზენი სურათის შემდგომი აღწერა.

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმმა იმსჯელა ქ. ტყიბულში მომხდარ „საგმირო საქმეებზე“. აქაურ „მეშახტეს“ აეკრძალა მომდევნო 2 კალენდარული მატჩის ჩატარება საკუთარ სტადიონზე, გუნდის წევრი რ. ნაზაროვი გაფრთხილებულია სასტიკად, რომ მსგავსი ამბის გამეორების შემთხვევაში მას საერთოდ აეკრძალება ფეხბურთის თამაში. ქალაქის სპორტკავშირის ხელმძღვანელობას მიეცა წინადადება, რათა მოიშოროს ფეხბურთის სექციიდან მისი უღირსი წარმომადგენელი — კვინიხიძე. გარდა ამისა, თუ აღნიშნულ სტადიონზე გამეორდა ანალოგიური ამბავი, რესპუბლიკური პირველობის მატჩები ტყიბულში აღარ ჩატარდება.

**რედაქციისგან:** ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მატჩის მსაჯმა (რომლის გვარს განზრახ არ ვასახელებთ) სასამართლოში აღძრა საქმე კვინიხიძის მიმართ. გვაინტერესებს, რა პოზიციას დაიჭერენ ტყიბულის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურები, როცა საქმე მიდგება დამნაშავის მსჯავრდებაზე. ხომ არ აპირებენ თავდების ქვეშ აიყვანონ იგი?

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია სწორად მოიქცა გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ, ჩვენის აზრით, დანაშაული ამ შემთხვევაში გაცილებით ჭარბობს სასჯელს. საჭირო იყო პროფილაქტიკური ზომების კიდევ უფრო ფართო მასშტაბით და, რაც მთავარია, მეტი სიმკაცრით ჩატარება, რომ მაგალითი ყველასთვის დასამახსოვრებელი და ჭკუის სასწავლებელი იყოს.



## ჩვენც გადაგვიხნეს!..

გორის რაიონის სოფელი ბერშუეთი დიდი დასახლებაა. სადაც ბევრია ახალგაზრდობა. ახალგაზრდებს კი, მოგეხსენებათ, სპორტი უყვართ. სამწუხაროდ, ბერშუეთში წლების მანძილზე არ იყო ფეხბურთის მოედანი. კოლმეურნეობას რამდენჯერმე მივმართეთ თხოვნით, — გამოეძებნა ადგილი, სადაც შეიძლებოდა მოწყობილიყო ასეთი სპორტული ბაზა.

როგორც იქნა, 1960 წელს, ჩვენი ოცნებაც ასრულდა. მივიღეთ მოედანი, შევიძინეთ ინვენტარი, მოვაწყეთ ყველაფერი და ფეხბურთიც დამკვიდრდა ბერშუეთელ ახალგაზრდებში.

მაგრამ დადგა 1962 წელი და ჩვენ კვლავ „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოვჩნდით. მოედანი „გაქრა“: ტრაქტორმა გადახნა და მოფარცხა იგი. განა რა გაუჭირდა კოლმეურნეობას ეს ერთი გოჯი ადგილი?!

იმედს მაინც არ ვკარგავთ, რადგან ვიცით, რომ ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია კიდევ გაგრძელდეს. ჩვენი მესვეურებიც გაიგებენ, ალბათ, რომ დანაშაულია ახალგაზრდობის დატოვება სპორტული ბაზის გარეშე!

**ჯ. წიკლაური**

სოფელი ბერშუეთი, გორის რაიონი.

## ოსტატის ორი შედეგით

ჩვენს დედაქალაქში დამთავრდა მიმდინარე წლის პირად-გუნდური შეჯიბრება მოზარდთა შორის თანამედროვე ხუთჭიდში. ამ ასპარეზობის პარალელურად ჩვენი ქალაქის დინამოელი ხუთჭიდელები სამატჩო შეხვედრაში ოდესელ სპორტსმენებს შეერკინენ. შეჯიბრების თავისებურება ის იყო, რომ ფარიკაობაში მოზარდები „დიდებთან“ ერთად ცდიდნენ ძალებს.

თანამედროვე ხუთჭიდის ცალკეულ სახეობებში მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს ჭაბუკებმა. ა. შეროზიამ და ვ. ქერაშვილმა, რომლებმაც საბოლოო ჯამში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს. ქერაშვილი პირველობდა ფარიკაობაში, სროლასა და მძლეოსნურ კროსში. საბოლოოდ მან მოზარდთა შორის თბილისის ჩემპიონობა დაისაკუთრა და გაუსწრო თავის მთავარ მეტოქეს — ა. შეროზიას.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამოს“ მოზარდთა I გუნდმა.

სამატჩო შეხვედრაში ოდესელ სპორტსმენებთან გაიმარჯვეს დინამოელმა ხუთჭიდელებმა, ხოლო პირად ჩათვლაში ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ა. კრავჩენკომ.

**თ. გაჩეჩილაძე**



სურათზე: ა. კრავჩენკო საცხენოსნო კროსში შეჯიბრების დროს.

ფოტო ავტორისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარგა ხანია სპორტული თემა სახვითი ხელოვნების ოსტატებისთვის შემოქმედებით წყაროდ იქცა. უთუოდ ყველას ახსოვს

# ქართველი ფალავნის პორტრეტი

რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ნ. კანდელაკის მიერ გამოძერწილი „ნინო დუმბაძე", ზ. კრიჭაშვილის „ელენე გოკიელი" და მრავალი სხვა.

ამ საინტერესო თემას უძღვნა ნაწარმოები მოქანდაკე ა. კიკნაველიძემაც. მან მარმარილოში გამოკვეთა ქართველი ფალავნის მ. ციმაკურიძის (მაჩაბელი) პორტრეტი.

მ. ციმაკურიძე ქართველ ფალავანთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც ბევრი სასახელო გამარჯვება მოიპოვეს სარბიელზე. მოქანდაკეც სწორედ ღვაწლმოსილი ოსტატის შეუდრეკელობისა და შემართების ქვაში გამოსახვას შეეცადა.

შეხედეთ ქანდაკებას და დარწმუნდებით, რომ ხელოვანის ცდა წარმატებით დაგვირგვინდა!

ს. ნაციაშვილი

**წერილი ამსტერდამიდან**

# მაუკვალავი გზით

გუშინ რედაქციაში ამსტერდამიდან მოვიდა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო ოსტატის ა. კონსტანტინოპოლსკის წერილი. იგი „ლელოს" მკითხველებს სთავაზობს ტურნირის ერთ-ერთ საინტერესო პარტიას.

**ი. პორატი — დ. ბრონშტეინი**

**ნიმცოვიჩის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 კb4+. 4. კd2 a5.

ახალი გეგმა ამ კარგად ცნობილ პოზიციაში.

5. მc3 0—0 6. e3 b6 7. კd3 კb7 8. 0—0 d6 9. ლc2 მbd7.

შავებისათვის არ იყო საინტერესო f3-ზე გაცვლა. კუb7 საჭიროა ცენტრისათვის ბრძოლაში. უახლოესი სვლებით თეთრები უვნებელყოფენ e6—e5—e4 მუქარას.

10. a3 კ:c3 11. კ:c3 ეe8 12. მg5 h6 13. მe4 მ:e4 14. კ:e4 კ:e4 15. ლ:e4 a4.

ერთი შეხედვით პოზიცია მარტივია და თეთრებისათვის უხიფათო. შემდგომ შავები ხელსაყრელ ენდშპილში გადასვლისათვის ახორციელებენ თეთრი უჯრების დაპყრობის გონებამახვილურ გეგმას.

16. ეad1 f5 17. ლc6 ეa7! 18. კb4 ლc8 19. ეc1. მf6.

მეტოქენი სხვადასხვა შეფასებას აძლევენ c4—c5 შემდეგ მომდევნო თამაშს. თეთრებს იმედი აქვთ მოაწყონ c ხაზზე დაწოლა, შავებს კი — ბლოკადა თეთრ უჯრებზე.

20. c5 bc 21. dc d5 22. კ c3 ლ a6! 23. ლ:a6 ე:a6 24. კ:f6 gf 25. ე fd ე b8.



შეიქმნა ოთხი ეტლის ენდშპილი. უნდა აღინიშნოს, რომ დიდოსტატმა შორსმჭვრეტელურად შეაფასა ორივე მხარის შესაძლებლობა. შავებს შეუძლიათ შეუტიონ b2 და c5 პაიკებს, შემდეგ კი ცენტრში ხუთპაიკიანი მძლავრი „მუშტი" გამოიყენონ. თეთრებს მხოლოდ ერთი შანსი აქვთ — ეტლით მანევრები მეოთხე ჰორიზონტალზე. როგორც პარტიის ფინალი გვიჩვენებს, შეუძლებელი ყოფილა შავების შეტევის ჩახშობა.

26. ეc2 ეb5 27. ეd4 c6 28. მფf1 ე6 a5 29. მფe1—e5 30. ეh4 მფg7. 31. მფd2 e4! (ეტლი ჩიხშია მომწყვდეული. ის აქედან ველარ დააღწევს თავს) 32. ეf4 h5! 33. g:f6 მფg6 34. ეf4 f5 35. h3 ე:c5 36. ე:c5 ე:c5 37. g4 fg 38. hg h4 39. ეf8 მფg7! 40. ეf4 (თუ 40. ეf5, მაშინ 40. ...ეb5 41. მფc2 d4 და h პაიკი ლაზიერად გადის) 40. ...ეb5 41. მფc3 მფg6. თეთრები დანებდნენ 42. ეf8 ეb7 და ა. შ. ვარიანტის გამო.

მარტივი, მაგრამ ჭკუის სასწავლი პარტიაა!

ა. კონსტანტინოპოლსკი,
საერთაშორისო ოსტატი.

**ამსტერდამი.** 6 ივნისს შედგა XIII ტურის პარტიები. ტალმა მოუგო ბილეკს, სმისლოვმა — პერესს, შტეინმა — ბერგერს, დარგამ — ევანსს. ბრონშტეინმა ყაიმით დაამთავრა პარტია ლენდიელთან. ლარსენს ივკოვთან გადადებულ პარტიაში პაიკი აკლია. ლიდერია ტალი — 10 ქულა.

# სისწრაფის მითი

**ინგლისელი აბსალომიდან ამერიკელ ჰეიესამდე**

„რ. ჰეიესმა 100 იარდზე რბენაში აჩვენა შესანიშნავი შედეგი — 9,1 წამი, რაც 9,9 წამს უდრის 100 მეტრზე", „ჰეიესი უძლიერესი იქნება სპრინტში ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე", — წერდნენ გაზეთები მსოფლიოს ყველა კუთხეში.

რას წარმოადგენს 100 იარდზე რბენა? რა კავშირი აქვს მას ტოკიოს ოლიმპიადასთან?

100 იარდზე რბენა მუდამ ტარდებოდა, მაშინაც კი, როცა ინგლისელებმა, ანგლოსაქსური ტრადიციის დაცვის მიზნით, მეტრული სისტემის შემოღება გადაწყვიტეს.

ცვლილებების მიუხედავად, ხელუხლებელი დარჩა ერთ მილზე და 100 იარდზე რბენა, რადგან მათ თავიანთი ისტორია და მნიშვნელობა აქვთ ინგლისურ სისტემაში.

იარდზე ნაჩვენები დროის მეტრულზე გადაყვანამ საგრძნობლად გაურთულა საქმე სტატისტიკის მოყვარულებს. ისინი მეათედ წამებს ერთს აკლებენ, მეორეს უმატებენ, ცდილობენ შექმნან ერთიანი სტილი და კლასიფიკაცია, განსაზღვრონ სპორტსმენთა შესაძლებლობანი იმ დისტანციებზე, რომლებიც მეტრებში იზომება. 100 იარდზე რბენას გაცილებით დიდი ისტორია აქვს, ვიდრე 100 მეტრზე რბენას. საერთოდ, რეკორდების პროგრესი იარდულ დისტანციებზე ყოველთვის წინ უსწრებდა რეკორდების ზრდას მეტრულზე. ავიღოთ უკანასკნელი მაგალითი. ჰეიესის რეკორდი 100 იარდზე (9,1), როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 100 მეტრზე 9,9-ს შეესაბამება. ეს კი „არქივში" გზავნის ა. ჰარის და ჰ. ჯერომის ფენომენალურ მაჩვენებლებს — 10,0 წამს.

აი, როგორ იზრდებოდა რეკორდები 100 იარდზე და 100 მ რბენაში:

| წელი | რეკორდი 100 იარდზე | რეკორდი 100 მეტრზე | სხვაობა |
|---|---|---|---|
| 1890 | 9,8 | 11,0 | 1,2 |
| 1900 | 9,8 | 10,8 | 1,0 |
| 1910 | 9,6 | 10,6 | 1,0 |
| 1920 | 9,6 | 10,5 | 0,9 |
| 1930 | 9,4 | 10,4 | 1,0 |
| 1940 | 9,4 | 10,2 | 0,8 |
| 1950 | 9,3 | 10,1 | 0,8 |
| 1960 | 9,3 | 10,0 | 0,7 |
| 1964 | 9,1 | 10,0 | 0,9 |

სხვაობა 100 იარდსა და 100 მეტრს შორის 8,56 მეტრს შეადგენს. 100 იარდზე რეკორდის დამყარებისას ჰეიესი უკანასკნელ მეტრებს მირბოდა საათში 44 კილომეტრის სისწრაფით, ე. ი. წამში გარბოდა 12,2 მეტრს (1,22 მეტრს მეათედ წამში).

ამრიგად, ამ სისწრაფით ჰეიესს შეეძლო სხვაობა 8,56 მეტრი გაერბინა 0,7 ან 0,8 წამში. სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ ფენომენალურ სპრინტერს ყველა შესაძლებლობა აქვს ჰარის მსოფლიო რეკორდს 100 მეტრზე რბენაში ერთბაშად 0,2 წამი „ჩამოაჭრას".

ასეა თუ ისე, ჰეიესი ახლა მსოფლიოში უსწრაფეს ადამიანად ითვლება. თავი რომ დავანებოთ მის გამარჯვებებს ანტაოსა და ბადთან, დრეიტონსა და ჯეიმსთან, პოინტერსა და ფოიკთან, გამპერთან, უილბერტთან, ჯერომთან, ჯონსონთან და უინდერთან ჰიდილში, მის სიძლიერეს ერთხელ კიდევ დაამტკიცებს ტოკიოს სტარტები.

სკეპტიკოსებს აქვთ უფლება არ დაიჯერონ ჰეიესის მიერ 100 იარდზე დამყარებული მსოფლიო რეკორდის სინამდვილე. მათ ხომ არც ჰარისა სჯეროდათ, როცა მან ციურიხში მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე რბენაში... მაგრამ რომში გამარჯვებით ა. ჰარიმ ყველას დაუკარგა ურწმუნობის მადა.

დასასრულ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველი გაეცნოს რეკორდების ბედს 100 იარდზე (91,44 მეტრი) რბენაში. პირველ რეკორდსმენად აღიარებულია ინგლისელი აბსალომი. მან 1868 წელს აჩვენა 10,0 წამი. მას შემდეგ, 22 წლის განმავლობაში, ეს შედეგი გაიმეორა 20-მა სპორტსმენმა. 1890 წელს ოუენმა აღნიშნული მანძილი 9,8 წამში გაირბინა. 12 წელიწადს ვერვინ შეძლო ამ მიღწევის გაუმჯობესება, გამეორება კი 16 სპრინტერმა მოახერხა. 1902 წელს რეკორდი „დაეშვა" 9,6 წამამდე. მისი ავტორი იყო დუფეი. გავიდა კიდევ 24 წელი და მხოლოდ შვიდმა სპორტსმენმა აჩვენა ასეთივე შედეგი, ვიდრე, 1926 წელს, პადოკმა მას 0.1 წამი არ „ჩამოაჭრა".

ამ შედეგის (9,5) გამეორება 3 წლის განმავლობაში შეძლო სამმა სპორტსმენმა. 1929 წელს სიმპსონმა აჩვენა 9,4, რაც რეკორდების ცხრილში 19 წელიწადს იყო უცვლელად (გაიმეორა 12-მა მორბენალმა). 1948 წელს სიმპსონის ჰეგემონობა დაარღვია პატონმა — 9,3 წამი (13 წლის განმავლობაში იგი გაიმეორა 14-მა სპრინტერმა). 1961 წელს ბადმა რეკორდი დაიყვანა 9,2 წამამდე (ერთი წლის შემდეგ იგი გაიმეორეს ჰეიესმა და ჯერომმა). და, ბოლოს, რეკორდს გასულ წელს დაეუფლა რ. ჰეიესი. 9,1 (წელს მან ასეთივე შედეგი ორჯერ აჩვენა).



რ. ჰეიესს ამ სურათზე მძლეოსნის ტრადიციული ფორმის ნაცვლად ბეისბოლისტის ტანსაცმელში ხედავთ.

# თბილისის „ლოკომოტივის" მატჩები

თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები 14 ივნისს თავიანთ მინდორზე გამართავენ მორიგ კალენდარულ მატჩს „ა" კლასის მეორე ჯგუფის II ქვეჯგუფის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან — ვოლგოგრადის „ტრაქტორთან", ხოლო 21 ივნისს ოდესაში შეხვდებიან ქვეჯგუფის ლიდერს, ადგილობრივ არმიელთა გუნდს.

29 ივნისს იწყება გათამაშების მეორე წრე. ამ დღეს თბილისელები გომელში თამაშობენ ადგილობრივ „სპარტაკთან".

# სოხუმელთა გამარჯვება

**კიროვაბადი, 6 ივნისი.** გუშინ აქ გაიმართა „ბ" კლასის IV ზონის ფეხბურთელთა მატჩი. ადგილობრივი „დინამო" შეხვდა სოხუმელ თანაკლუბელებს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1.

# მოზარდთა ტურნირი

გრძელდება „ა" და „ბ" კლასების კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების საკავშირო ტურნირი ჩვენი რესპუბლიკის ზონაში.

I ქვეჯგუფში უჩვეულო ანგარიშით დამთავრდა თბილისის „დინამოსა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრა: დინამოელებმა 10 „მშრალი" ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. თბილისის „ბურევესტნიკმა" მოუგო გურჯაანის „ალაზანს" — 1:0, ხოლო ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლისა (თბილისი) და „შრომითი რეზერვების" (თბილისი) შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

დამარცხება განიცადეს ბათუმის დინამოელებმა გაგრის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდთან შეხვედრაში — 1:5. ქუთაისის „ტორპედომ" სოხუმში დაამარცხა ადგილობრივი დინამოელები — 2:1, ფოთის „კოლხიდამ" კი მოუგო თბილისის „ლოკომოტივს" — 1:0.

# 5 : 2

ლენინგრადი, 6 ივნისი. ფეხბურთელთა ტრადიციულ შეჯიბრებაში კომკავშირის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის თასზე გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ადგილობრივი გუნდები.

მოსკოველთა რიგებში იყვნენ ნეტო, სოლდატოვი, ლოგოფეტი, რეინგოლდი, ბუბუკინი და სხვები, ხოლო ლენინგრადის სპორტულ ღირსებას იცავდა „ზენიტი". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:2.

# „ღია ხალიჩის" სეზონი გაიხსნა

ჯერ კიდევ გასულ წელს დადგინდა ავჭალის შუშის ქარხნის სპორტსმენთა, მთელი ფიზკულტურული კოლექტივის შესანიშნავი ტრადიცია: აქ, ქარხნის ტერიტორიაზე მოწყობილ საჭიდაო ასპარეზზე, სისტემატურად იმართებოდა ამხანაგური შეხვედრები და ტურნირები არა მარტო ადგილობრივ, არამედ სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ მოჭიდავეთა შორის. ქარხნის „ღია ხალიჩა" დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა სპორტსმენებსაც და აურაცხელ მაყურებლებსაც, რომლებიც ყოველ კვირადღეს მოდიოდნენ ქართულ ჭიდაობაში საინტერესო ორთაბრძოლების საყურებლად.

გასულ კვირას ავჭალის შუშის ქარხნის საჭიდაო ასპარეზზე კვლავ განახლდა ეს ტრადიცია. ფიზკულტურული კოლექტივის აქტივისტებმა და თვით მოჭიდავეებმა სასახელოდ იშრომეს, რომ „ღია ხალიჩის" გახსნისთვის საჭიდაო ასპარეზი სრულ მზადყოფნაში დახვედროდა ყველას — სპორტსმენებსაც და მაყურებლებსაც.

ისევე, როგორც გასულ წელს, ამ კვირასაც დიდძალი ხალხი შეიკრიბა „სეზონის გახსნაზე". ეს ძალიან წაავავდა წინასაფეხბურთო ციებ-ცხელებას. და უნდა ითქვას, რომ მაყურებლებს არ გამტყუნებიათ მოლოდინი.

შეჯიბრების პროგრამა „ღია ხალიჩაზე" ამ დღეს განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო. ქარხნის სპორტულ ასპარეზს მოაშურეს გლდანის, მცხეთის, დუშეთის, კასპის, თვით ახმეტის მოჭიდავეებმაც კი! როგორც სტუმრებმა, ისე მასპინძლებმა წარმოადგინეს ლამაზი, ტექნიკური ჭიდაობა.

წინა წლებისგან განსხვავებით, გასულ კვირადღეს აქ ასპარეზობა პირველად ჩატარდა წონითი კატეგორიების მიხედვით, რისთვისაც ფიზკულტურული კოლექტივის აქტივისტებმა საგანგებოდ მოიტანეს სარბიელთან სასწორი. მაყურებელთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს საგურამოელმა ო. პაპუჩელაშვილმა, ავჭალელმა თ. ბერიტაშვილმა, მცხეთელმა ვ. ქორქოსაძემ, ახმეტელმა ს. ხუგაევმა, ხაშურელმა შ. დევაძემ...

დაბოლოს, არ შეიძლება მადლობით არ აღვნიშნოთ ავჭალის შუშის ქარხნის დირექციის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი და კეთილშობილური მეცადინეობა, რომელიც მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული ტრადიციისთვის ყოველმხრივ ხელშეწყობას.

ვ. ქისტაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვეყნები და ჩემპიონატები

## იტალია

როგორც ვიუწყებოდით, იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებულის გამოსავლინებლად საჭიროა დამატებითი მატჩის გამართვა. დასკვნით, 34-ე ტურში მეტად საპასუხისმგებლო მატჩები ჰქონდათ ლიდერებს — „ბოლონიასა" და „ინტერნაციონალეს". ორივე გუნდმა მოიპოვა გამარჯვება (პირველმა — „ლაციოსთან" — 1:0, მეორემ — „ატალანტასთან" — 2:1) და 54-54 ქულით სათავეში შერჩა გათამაშებას. ფეხბურთის ეროვნული ლიგის გადაწყვეტილებით, „ბოლონია" და „ინტერნაციონალე" გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან დღეს, 7 ივნისს რომში.

დებულების თანახმად, პირველ ლიგას დატოვებენ „ბარი", „სპალი" და „მოდენა"—„სამპდორიას" შორის დამარცხებული (ეს მატჩიც დღეს გაიმართება).

ქვემოთ მოგვყავს იტალიის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი.

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| „ბოლონია" | 22 | 10 | 2 | 54:18 | 54 |
| „ინტერნაც." | 23 | 8 | 3 | 53:21 | 54 |
| „მილანი" | 21 | 9 | 4 | 58:28 | 51 |
| „ფიორენტ". | 14 | 10 | 10 | 42:26 | 38 |
| „იუვენტუსი" | 14 | 10 | 10 | 49:36 | 38 |
| „ვიჩენცა" | 13 | 10 | 11 | 34:36 | 37 |
| „ტურინი" | 9 | 17 | 8 | 32:32 | 35 |
| „გენუა" | 10 | 10 | 14 | 33:35 | 30 |
| „კატანია" | 9 | 12 | 13 | 32:43 | 30 |
| „ლაციო" | 9 | 12 | 13 | 21:24 | 30 |
| „ატალანტა" | 7 | 16 | 11 | 26:43 | 30 |
| „რომა" | 9 | 11 | 14 | 43:44 | 29 |
| „მანტუა" | 6 | 17 | 11 | 28:39 | 29 |
| „მესინა" | 9 | 10 | 15 | 25:46 | 28 |
| „სამპდორია" | 10 | 7 | 17 | 38:50 | 27 |
| „მოდენა" | 6 | 15 | 13 | 29:42 | 27 |
| „სპალი" | 6 | 12 | 16 | 28:39 | 24 |
| „ბარი" | 6 | 10 | 18 | 21:43 | 22 |

## იუგოსლავია

იუგოსლავიის პირველობა ფეხბურთში მიმდინარეობს „ცრვენა ზვეზდის" ლიდერობით, რომელმაც ფრედ ითამაშა „ბეოგრადთან" და ახლა აქვს 33 ქულა. ლიდერს 3 ქულით ჩამორჩებიან „ბეოგრადი" და ზაგრების „დინამო".



გაგიგონიათ ახალი საფეხბურთო სისტემა 1+1+3?..

აი, ამ სისტემის ერთგულ გუნდს ხედავთ სწორედ სურათზე: ერთი მეკარე, ერთი მცველი და სამი თავდამსხმელი!

ახლა კონკრეტულად გავარკვიოთ: ვინ რა ფუნქციას ასრულებს ამ სისტემაში?

რომელია გუნდის „დამკვრელი ძალა?" კითხვას მხოლოდ ფეხსაცმელების მიხედვით შეიძლება ვუპასუხოთ: ის ორი, რომლებსაც სრულიად „გულახდილად" აქვთ ამძვრალი ლანჩები. ფეხბურთელთა ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ვირტოუზული ფინტების, სწრაფი დრიბლინგის, გარღვევაზე გასვლის, ხშირი გასწვრივი ჩამოწოდებებისა და კარში გულიანი დარტყმის შედეგია! ეტყობა, გარემარბებმა „ტრიბუნებზეც" წმინდა სამინდვრო განლაგების მიხედვით აირჩიეს ადგილი — მარცხენა და მარჯვენა კიდეში.

მეკარეს უთუოდ თვითონვე გამოიცნობთ. რაღა საჭიროა განმარტება, როცა გალავანზე ზის კაცი, რომელსაც დაკაწრული და დალურჯებული წვივები და მუხლები მტვერში აქვს ამოგანგლული?!

აქ არის კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც ჯერ „არაფერი ეტკინება", სანამ გუნდის წევრად ჩარიცხავენ.

— შენ ჯერ რძე არ შეგშრობია! — ლაკონურად განუმარტეს ბიჭებმა იმას, რომელიც ასე გულმოდგინედ იჩიჩქნის ცხვირს. თუმცა მასაც აქვს „ფუნქცია": გუნდი რის გუნდია და თამაში რა თამაშია, თუ მას „მეაუტე" — ბურთის მომტანი არ ეყოლება?

მაგრამ რა მოხდა? ასე უმოქმედოდ რატომ ზის მთელი კოლექტივი?

საქმე ისაა, რომ მოედანზე, რომელსაც ეს „ტრიბუნები" აკრავს, უკვე მიმდინარეობს ბრძოლა. თამაში ექვს გოლამდეა. ვინც მეექვსე ბურთს გაიტანს, სწორედ იმას მოუხდება ჩვენს ფავორიტებთან შეხვედრა.

სურათით თქვენ კარგად ხედავთ, რომ მოედანზე რაღაც მოხდა: ეს ცნობილმა „ფინაჩმა" გააფუჭა უეჭველი ბურთი და ბიჭების სახეებზეც დამცინავი ღიმილი გამოიწვია.

— ამ ბურთს მე ნაღდად შევაგდებდი! — ამბობს ის, რომელსაც მკერდზე აქვს ხელი მიდებული. იგი, ეტყობა, ახალბედაა. ცენტრ-ფორვარდის ძიებაში გუნდმა ბოლოსდაბოლოს ამ „ჭყინტზე" შეაჩერა არჩევანი და ისიც გულით ცდილობს გაამართლოს...

კიდევ ვინ დაგვრჩა? გრძელშარვლიანი. ის, რა თქმა უნდა, მცველია! მაღალი, დინჯი, ძლიერი...

მაშ ასე: 5 წუთის შემდეგ ახმაურდება საფეხბურთო მარში და გუნდი გადავა შეტევაზე!..

ფოტოეტიუდი **ს. მამასახლისისა.**

## დაუბერებელი სტენლი

33 წლის წინათ ინგლისის პროფესიულ გუნდ „სტოკ-სიტიში" გამოჩნდა 16 წლის ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი. მას შემდეგ მან ჩაატარა დაახლოებით 2.000-მდე კალენდარული მატჩი, გახდა ინგლისის ფეხბურთის „ვარსკვლავი", მისი კერპი. სტენლი გამოდიოდა ბევრ წამყვან კლუბში, ბევრჯერ უთამაშია ინგლისის ნაკრებში. 4 წლის წინათ მეტიუზი დაუბრუნდა „სტოკ-სიტის" და თავისი ბრწყინვალე თამაშით დიდი ღვაწლი დასდო გუნდის პირველ ლიგაში გადასვლას.

49 წლის სტენლიმ ამას წინათ ხელი მოაწერა თავის უკანასკნელ კონტრაქტს და ერთ სეზონს კიდევ ითამაშებს „სტოკ-სიტის" შემადგენლობაში.

—ძალიან კარგად დავიწყე ჩემი კარიერა ამ გუნდში და ვფიქრობ, რომ 50 წლის ასაკში ასევე წარმატებით დავამთავრო, — თქვა სტენლიმ.

## სხვათა შორის...

### რეკორდი 62 წლის ასაკში

რა ასაკამდე შეუძლია ადამიანს მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში და აჩვენოს მაღალი შედეგები? გარკვეული პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ძნელია, მაგრამ აი, მაგალითი: 62 წლის ფრანგმა ჟან ტესტონ-ვინგმა დაამყარა ეროვნული რეკორდი ვეტერანებს შორის ველოსპორტში.

ტესტონ-ვინგმა ტრეკზე ველოსიპედით 60 წუთში გაიარა მანძილი — 39,420 კმ.

### ოლიმპიადაზე... საფოსტო მარკებით

სან-მარინო ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოა მსოფლიოში. რომის ოლიმპიური თამაშების წინ სან-მარინოს მმართველობამ განცხადებით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თავის რიგებში მიეღო ეს პატარა ქვეყანაც.

მართალია, სან-მარინოს არა ჰყავდა სპორტსმენები, რომლებიც შეძლებდნენ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ჯუჯა სახელმწიფოში გამოუშვეს ოლიმპიადისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების მთელი სერია.

## ნიუ-იორკის საერთაშორისო...

დაიწყო ნიუ-იორკის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში.

ჯერ მიმდინარეობს შეჯიბრება პირველ ქვეჯგუფში, სადაც თამაშობენ ბრემენის „ვერდერი" (გფრ), სან-სალვადორის „ბაია" (ბრაზილია), ვიჩენცას „ლანეროსი" (იტალია), ინგლისის პირველი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ბლეკბერნ როვერსი" და შოტლანდიის „ჰირტსი".

მოგვიანებით დაიწყება შეჯიბრება მეორე ქვეჯგუფში. აქ ითამაშებენ ვენის „შვეჰატი" (ავსტრია), ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა", პოლონეთის ჩემპიონი — ზაბჟეს „გურნიკი", ათენის აეკ-ი და „გუიმარაესი" (პორტუგალია).

ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები დამატებით მატჩში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ივლისში, ხოლო მათს შორის გამარჯვებული ორ გადამწყვეტ შეხვედრას გამართავს ნიუ-იორკის ტურნირის გარდამავალი თასის მფლობელ ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონ „დუკლასთან".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ



# „თანამებრძოლთა" შეხვედრა

წელს, როცა საბჭოთა ფეხბურთელები საერთაშორისო ტურნირზე იყვნენ მექსიკაში, ჩვენს სპორტსმენებს, კერძოდ, ა. სტაროსტინს, მექსიკის ერთ-ერთი პროგრესული გაზეთის რეპორტიორმა წინადადება მისცა მოეწყოთ „თანამებრძოლებთან" შეხვედრა.

— კი, მაგრამ ვინ არიან ეს ჩვენი „თანამებრძოლები?" — შეეკითხა საბჭოთა ვეტერანი კორესპონდენტს.

— ბასკები: ლანგარა, რეგეირო და სხვანი.

„მე დაუყოვნებლივ დავთანხმდი და გამეხარდა, რომ უნდა შევხვედროდი ადამიანებს, რომელთა სახელი საყოველთაოდ ცნობილია ფეხბურთის სამყაროში. ისინი მართლაც ჩემი „თანამებრძოლები" არიან: მე ხომ მათ წინააღმდეგ მითამაშია", — წერდა „ფუტბოლში" ა. სტაროსტინი.

საიდან მოხვდნენ გამოჩენილი ბასკი ფეხბურთელები მექსიკაში?

... ეს მოხდა 1937 წელს. ესპანეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ბასკი ფეხბურთელები, რომლებიც მაშინ ესპანეთის ნაკრების ბირთვს წარმოადგენდნენ, ფრონტის მოწინავე ხაზზე იბრძოდნენ. ისინი მოულოდნელად შეკრიბეს და საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გაამგზავრეს ევროპის ქვეყნებში, რათა ფულადი შემოსავლით დახმარებოდნენ თავისუფლებისთვის მებრძოლ თანამემამულეებს.

1937 წლის ივლისს ბასკები სსრ კავშირსაც ეწვივნენ. ეს დიდი მოვლენა იყო ჩვენი სამამულო ფეხბურთის ისტორიაში. ბევრი რამ ახალი შეიძინეს მათგან საბჭოთა ფეხბურთელებმა. ბასკების ტურნეს შემდეგ ჩვენს წამყვან გუნდებში დაინერგა ახალი ტაქტიკა, ე. წ. „დუბლ-ვე". ბასკებმა გვაჩვენეს უმაღლესი ტექნიკა, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. ვისაც უნახავს მათი ბრწყინვალე თამაში, ღრმად ჩარჩებოდა მეხსიერებაში ი. ლანგარას, ლ. რეგეიროს, გ. ბლასკოსა და სხვათა დახვეწილი ოსტატობა.

ბასკები თბილისშიც ჩამოვიდნენ და აქ ორი შეხვედრა გამართეს. 24 ივლისს სტუმრები თბილისის დინამოელებს ეთამაშნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. მეორე მატჩი 30 ივლისს გაიმართა, ამჯერად საქართველოს ნაკრებთან. ბასკებმა კვლავ გაიმარჯვეს — 3:1. აღსანიშნავია, რომ ორივე მატჩში თითო ბურთი გაიტანა ბასკების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ისიდრო ლანგარამ.

27 წელი გავიდა მას შემდეგ. ჩვენს ფეხბურთელებს მექსიკაში ყოფნისას საშუალება მიეცათ ენახათ ტყავის ბურთის გამოჩენილი ოსტატები — ბ. პაიჭაძის, ა. სტაროსტინის, შ. შავგულიძის „თანამებრძოლნი" — ი. ლანგარა, ლ. რეგეირო, ე. ალონსო, ე. ლარინაგა, გ. ბლასკო. მათ არ მოისურვეს ფრანკისტულ ესპანეთში დაბრუნება და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მექსიკაში დასახლდნენ. სხვათა შორის, ისინი დაესწრნენ სსრ კავშირის ნაკრების თამაშებს მექსიკაში გამართულ ტურნირზე.

ბ. ჩიკვაიძე.

* * *

სურათზე, რომელიც 27 წლის წინათაა გადაღებული, ასახულია ქართველი და ბასკი ფეხბურთელების მეორე შეხვედრის მომენტი. ბორის პაიჭაძე ოსტატურად ასრულებს 11-მეტრიან საჯარიმო დარტყმას. სტუმრების მეკარე გ. ბლასკო უძლურია მოიგერიოს ბურთი.

7 - 21 ივნისი




ავსტრიის ბალეტი ყინულზე
„აის-რევიუს" დაარსების 25 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სპექტაკლი 2 განყოფილებად
„ოცნება ბედნიერებაზე"
დასაწყისი დღის 12 საათზე, საღამოს 8 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01235